საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/254 " 29 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2020 წლის 25 დეკემბრის №06-8948 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობის მიცემა საერთო სასამართლოებში 2021 წელს დაგეგმილი სარემონტო/სარეკონსტრუქციო და საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე. ამასთან, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით საჭირო საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის“ მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს წარმოდგენილი შენობა-ნაგებობების სარემონტო/სარეკონსტრუქციო და საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი